

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული  
პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

თეონა გეთიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
კერძო(ბიზნეს) სამართალის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

კერძო(ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ქეთევან ანდლულაძე, სამართლის დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

## აბსტრაქტი

აბსტრაქტის ტექსტი ქართულ ენაზე

ჩემს მიერ წარმოდგენილ ნაშრომში განხილულ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, რომელთა განხილვაც მათი აქტუალობის გამო მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ. ასევე განვიხილეთ UNCITRAL-ის მოდელური კანონის და ნიუ-იორკის კონვენციის ძირითადი პრინციპები, რადგან საქართველოს კანონი "არბიტრაჟის შესახებ" სწორად UNCITRAL-ის მოდელურ კანონზეა დაფუძნებული, ხოლო UNCITRAL-ის გარკვეული პრინციპები ნიუ-იორკის კონვენციაზე.

ნაშრომზე მუშაობის დროს, სამართლებრივი აქტებისა და ლიტერატურის გაცნობისას გამოიკვეთა ის პრობლემები, რომლის წინაშეც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება დგას. მასზე უარის თქმის საფუძველი შესაძლოა გახდეს: ისეთი ფართო განმარტებისა და ინტერპრეტირების საშუალების მქონე ცნების არსებობა, როგორც საქართველოს კანონში "არბიტრაჟის შესახებ" ასევე ნიუ-იორკის კონვენციის და UNCITRAL-ის მოდელურ კანონში, როგორიცაა საჯარო წერიგი; არბიტრთა არაკომპეტენტურობა და მიკერძოებულობა ასევე ინტერესთა კონფლიქტი; მხარისათვის ინფორმაციის არასრულფასოვნად მიწოდება; არასწორად ჩამოყალიბებული საქართველოს სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკა, ზოგიერთ საკითხზე; და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

ნაშრომის ბოლოს მოცემულია ამ პრობლემათა გადაჭრის გზები, რომლებიც მოძიებულ იქნა ნაშრომზე მუშაობის პროცესში. ამ პრობლემათა გადაჭრის გზა მდგომარეობს კანონმდებლობის დახვეწაში, საზოგადოების ინფორმირებულობაში, რათა მათ იცოდნენ არბიტრაჟის თვისებები და ჰქონდეთ სრულფასოვანი

შეხედულება მასზე, სახელმწიფო ენაზე თარგმით იმ ლიტერატურის და კანონმდებლობისა, რომელიც არბიტრაჟის შესახებ არსებობს. ამ და სხვა, ნაშრომში შემოთავაზებული გზებით შესაძლებელია იმ პრობლემის გადაჭრა, რომელსაც არბიტრები, მხარეები და სასამართლოები აწყდებიან მაშინ როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების დრო დგება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: არბიტრაჟი, აღსრულება, პრობლემა.

## **Abstract**

The text of the abstract in English

In my work we have discussed problems about enforcement of arbitral awards and have been analyzed the basic reasons causing these problems. This choose is caused because theme's actuality in our country and not only. In this work we have been learnt UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration and New York Convention because of its connection with legislation of Georgia.

During this work have been learnt the legislative acts and court practice of Georgia and other countries and the unity of those general and special factors has been revealed during the survey process which impact on the effective functionality of the arbitrage institute and the enforcement of arbitral awards. The enforcement of an arbitral award, irrespective of the

country in which it was made, may be refused if the enforcement of the award would be contrary to the public policy of this state. So it is to hard to know what really is public policy. This rule is in UNCITRAL in New York convention and in Georgia too. This and many other reasons may be the reason to be refused the enforcement of an arbitral award.

In the end of this work there are the reasons of problems and the ways how to solve these problems too. We can solve these problems if we make the arbitrage legislation perfect and harmonizing has been processed. Also the government has to give information to their people about arbitrage, that they know what good and bad feature has arbitrage; Also in our country must be translate literature and arbitrage legislation from other languages. Finally we can say that these ways of solving problems must help to arbitrage function role and meaning in Georgia.

Key Words: Arbitration, Enforcement, Problem.